№ 78
შაბათი, 15 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 78
შაბათი, 15 აპრილი 1895

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**თავადი რაფაელ დავითის ძე ერისთავი შვილებითურთ**
აუწყებს-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა დისა თვისისა **ქნეინა ბარბარე ჯორჯაძისას**, რომელიც ქ. თელავში მიიცვალა, სთხოვს მობრძანდნენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ქ. ტფილისს, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად შაბათს, 15 აპრილს, დილის 11 საათზედ.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.
ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **ქნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**
(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

ქართული თეატრი
საქველ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის
გადაიდო
ოთხშაბათისათვის 19 აპრილს.
წარმოდგენილი იქნება
**დანაშაული და სასჯელი**
დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

გამგე კომიტეტს „ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ აქვს პატივი ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია 15 მაისს ამ წლისას, საღამოს 7 სათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ მოქმედებისა 1 აპრილიდგან 1894 წლისა 1 არილამდის 1895 წლისა,

2) სავარაუდო ხარჯის აღრიცხვა 1 იანვრიდგან 1895 წლისა 1 იანვრამდის 1896 წლისა.

და 3) მოხსენება დამატებითის არჩევანის შესახებ გამგე კომიტეტში.

ტფილისი, 15 აპრილი.

—

გუშინდელის დეპეშისაგან ნათლად სჩანს, რომ ჩინეთ-იაპონიას შორის მომხდარ ზავის პირობები, რომელიც ასე არ ეჭაშნიკათ ევროპის ზოგიერთს სახელმწიფოებს, შესაძლებელია, უომრად არ შევიდნენ თავისს უფლებაში. თუ ეს ასე არ არის, მაშ რას ნიშნავს რუსეთისა, გერმანიისა და საფრანგეთის ელჩების წინადადება იმის შესახებ, რომ ზავის ზოგიერთი პირობანი შეცვლილ იყოსო! რასაკვირველია, ეს სამი ძლიერი სახელმწიფო ეცდება თავისი ინტერესები დაიცვას, მაგრამ ისიც-კი ეჭვს გარეშეა, რომ იაპონია არასოდეს არ დაუთმობს სისხლით მოპოვებულს უფლებებს და, თუ საქმე გამწვავდება, სისხლითა და მახვილ ითავე მიეგებება ძლიერ სახელმწიფოთა მოთხოვნილებას და უსიკვდილოდ არაფერს დაუთმობს. რუსეთის ჟურნალ-გაზეთებს რომ ვუყუროთ, სუვორინის თვალთა ხედვის ისრით რომ შევვიარაღდეთ და „მოსკოვის უწყების“ მამაცობით რომ აღვიჭურვოთ, მაინც არ შეიძლება გულში ხინჯი არ შეგვეპაროს და გულისძგერით არ მოველოდეთ ამ საქმის დაბოლოვებას. მართალია, სუვორინის გაზეთის სიტყვით, იაპონიის წინ-დაუხედაობა ადვილი ასალაგმია, მაგრამ იგივე იაპონია ამ ჟამად მთელს ევროპას ძილს უფრთხობს. გარდა ამისა, ევროპის სახელმწიფოებს ცოტა არ იყოს ინგლისისაც ეფიქრებათ, იმ ინგლისისა, რომელიც „მაძღარი სახელმწიფოა“ მაგრამ მაინც დიდი ინტერესები აქვს აღმოსავლეთში და დიდის გაფაციცებითაც ადევნებს თვალ-ყურს სხვა სახელმწიფოთა მოძრაობას. ინგლისი დღეს გაჩუმებულია, მაგრამ ეჭვი არ არის, როცა ზავის პირობები ოფიციალურად გამოცხადდება და ძალაში შევა, ისიც ხმას აღამაღლებს და იაპონელებს მიემხრობა, რათა ამითი თვისი უფლებანი სრულიად უზრუნველჰყოს. შეიძლება ინგლისმა ომში მონაწილეობა-კი არ მიიღოს, მაგრამ ისეთს ნეიტრალიტეტს დაიკავებს, ისე შეუფარდებს ძალ-ღონეს სხვა სახელმწიფოებს, რომ „უომრად“ ყველაზედ დიდს ლუკმას დაისნარჩუნებს. რომ ინგლისი იაპონიის მხარეს დაიჭერს, ამაში თვით ინგლისის ჟურნალ-გაზეთებივე გვარწმუნებენ. ეს ჟურნალ-გაზეთები დიდის აღტაცებით ეგებებიან სიმონოსეკში მომხდარს ხელშეკრულობას და იაპონელებს ჩინელების ამაღორძინებლებს და გამომღვიძებლებს უწოდებენ.

რაც შეეხება იაპონიის და ჩინეთის ურთიერთობას ეს ამ ჟამად საიდუმლოებით არის მოცული, და ეს საიდუმლოება, რასაკვირველია, აფიქრებს ევროპის სახელმწიფოთა გამგეთ. დასაეჭვებელიც არის ის გარემოება, რომ ჩინეთი ასე ხელაღებით უთმობს ამდენს უპირატესობას იაპონიას და თავისს მიწა-წყლის თვალსაჩინო ნაწილს ელევა. ალბად ერთ-ტომობა და ერთი გვაროვნობა აკავშირებთ ამ მონგოლთა იმპერიებს და მომავალის გაუმჯობესებისათვის შეერთებულის ძალით უნდა იმოქმედონ. ადვილი შესაძლებელია, იაპონიამ დაარწმუნა ჩინეთი, რომ მისის წარმატებისათვის აუცილებელია იაპონიასთან კავშირის შეკვრა და სამაგიეროდ აღუთქვა სხვა რომელისამე ქვეყნის დაპყრობა. ეს-კი დიდად საჭიროა მჭიდროდ დასახლებულ ჩინელებისათვის. შეიძლება იაპონიის ასეთი განზრახვაა უმთავრესი მიზეზი რუსეთის გაზეთების გაწიწმატებისა და ჰექა-ქუხილისა; შეიძლება ამიტომაც ურჩევენ მთავრობას იაპონიის უფლების აღაგმვას, რადგანაც ადვილი წარმოსადგენია, იაპონელებმა მშვიდის ოკეანეს მხრივ გზა შეუკრან რუსეთსა და მაშინ რუსეთის ინტერესები შორეულს აღმოსავლეთში დიდად იზარალებენ. გარდა ამისა ადვილად შესაძლებელია, რომ იაპონიის დახმარებით ჩინეთმა თავისის სამფლობელოს გავრცელება მოინდომოს და ციმბირისკენ გამოიწიოს.

როგორც სჩანს, აღმოსავლეთის ომი გათავებულად-კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ იგი ეხლა იწყება.

ინ—ცანი.

## ახალი ამბავი

—

⁂ გუშინდელი რჩევა ტფილისში შესახებ ქ. მოურავის კანდიდატის ამორჩევისა შეჩერდა თ. ნ. ვ. ორლუ-

## ფელეტონი

—

**თეთრი ჩადრი.**

(ჰარტმანიდგან)

I

აი, ჭაბუკი, დედის ერთა, ჯაჭვით შეკრული
საპყრობილეში ზის და ელის ხვალ ჩამორჩობას...
სულ უსამართლოდ განკიცხული, დაბეზღებული
ხვალ ნახავს სიკვდილს, დამცირებას, მტრისაგან გმობას!..
ჰო! დამცირებას, სიკვდილს საზიზღს და შემარცხვენელს
თვისს სამშობლოში, მოძმეთ შორის ხვალ შეეყრება
ის, ვინც რომ მოძმეთ, გაჭირვებულთ უწვდიდა ძმურს ხელს
და მხოლოდ სწამდა ქვეყნად ხალხის ბედნიერება;
ის, ვინც საშიშს ჭირს—უმართლობას, უკანონობას
ომს უცხადებდა და ებრძოდა დაუღალავად,
ვინც რომ ერთობას, სიყვარულსა, უტყუარს ძმობას
ხალხს უსახავდა სჯულად, მცნებად და სალოცავად;
ის, ვისიც შუბლი, მადლიანი, მონიჭებული
უმართებულო სხვის მონებამ ადრე დაღარა,
მაგრამ იმედი, გრძნობა, გული ამაღლებული
ვერ შეუფერხა,—ვერ შეეხო მტრისა ნაღარა!..
დიაღ, დღეს იგი განსჯილია, დამონებული...
იმას სჯის მისივ სულ უმანკო და წმიდა მცნება!..
ხვალ მას ჯალათი დაიმონებს შეჩვენებული—
ამგვარი არის თვითონ მეფის უცვლელი ნება!..

II

მისულა მასთან სანახავად დედამშობელი
გაქვავებული უმზერს იგი შვილს შებოჭვილსა
და მისი სახე, აზრი, გული ყოვლის მგრძნობელი
არას უბნობენ... ჰგავს ქვისაგან ის გამოთლილსა...
ცრემლ მორეული, ფერ მიმკრთალი, აღელვებული
საპყარი მშობელს, მოხუცს დედას არ აშორებს თვალს
და საიდუმლო გულის-ძგერით გატაცებული
უკანასკნელად იმას შესთხოვს განსჯას, სამართალს:
„რა დავაშავე? რა შევსცოდე ან ღმერთს და ან კაცს?
რითი შევბღალე სინიდისი, ვალი, უფლება?
ნუ თუ იმითი, რომ წესს და სჯულს უხამს და თვალთ-მაქცს
წინ აღვუდექი, ვიქადაგე თავისუფლება?
ნუ თუ იმით, რომ სათაყვანოდ ვსცანი გონება,
რომ უარ-ვყავი საზიზღრობა, თვალთ-მაქცი ქცევა,
რომ შევაჩვენე და დავსწყევლე ურცხვი მონება—
დღეს ამისათვის ცა და მიწა თავზედ მექცევა?
ჰო, ეს მაღელვებს... თორემ გული შენგან აღზრდილი
არად ჩააგდებს არცა სიკვდილს, არც სამარეს ბნელს,
თუმც რომ ეს დასჯა, ეს წამება და ეს სიკვდილი
შვებას მისცემდეს ჩემს სამშობლოს, ჩემსა საყვარელს!...
მაშინ მოვიდეს თვით მტარვალი გაბრაზებული,
ამქნას, ამკუწოს, საკირეში თავით ჩამკიდოს—
წარბს არ შევიხრი!... მაგრამ მტანჯავს, რომ ნორჩი გული
ხვალ სამარცხვინო ბოძზედ უნდა ჩამოეკიდოს
და იმის ნაცვლად, რომ ჩემს საფლავს ცრემლი, უკვდავი
ხალხმა აფრქვიოს, გულ-ამოსკვნით მადგეს მშობელი,—
ტიალს ჩემს ნაშთსა ყვავ-ყორანი, ორბი და სვავი
უნდა ჰკორტნიდნენ... ჰფლეთდეს მხეცი გულ-ულმობელი!...
რას მირჩევ, დედაჲ?“—სსუ!... ხმა... ცრემლი არ დამანახვო!
არ, არ მაჩვენო სულის შფოთვა შიში და ზარი!
—სხვებრ აღმიზდიხარ—და რაც უნდა წამება ნახო—
არ შემარცხვინო: გამოსცალე ფიალი მწარი!
მამულისათვის, ქვეყნისათვის თავ-დადებულსა,
ვისაც რომ ლამპრად წინ მიუძღვის დიდება ერის,
ცის მოციქულსა, ქვეყნის მსხვერპლსა, სულდიდებულსა,
სცან, შვილო ჩემო, ჰმუნვარება როდი შეჰფერის!...
იცოდე კარგად—უსამართლო ეგ განაჩენი
საშვილი-შვილო წყევლა-კრულვით ჩაიმეხება
და სარჩობელას ჭუჭყი, ლაქა, მტარვალთ საქმენი
შენს წმინდა სახელს ვერ შეარცხვენს, ვერ შეეხება!..
მაგრამ რას ვამბობ?.. დაიძინე, შვილო, დღეს ტკბილად,
არ შეუშინდე ამ ცივს კედლებს დახავსებულს, ბნელს,
მე გამოგიხსნი, გემსხვერპლები საკმელად, წვლილად,
მე დაგიბრუნებ, მე მოხუცი ყმაწვილს სიცოცხლეს:
თვით ვიახლები მუხლ-მოდრეკით მეფეს მტირალი,
გარდავუკოცნი ფეხის ნადგამს მირონცხებულსა
და რომ შესცვალოს განაჩენი, ჰყოს სამართალი—
ფეხთ წინ დავადნობ ცრემლად, კვნესად დედისა გულსა;
წმიდა სიყვარულს, წრფელსა ნატვრას, გულით ვედრებას,
ამ ჩემს სიცოცხლეს შენს სანაცვლოდ თავს შემოვავლებ
და ჩემს ერთსა შვილს, ერთსა იმედს, ბედნიერებას,
უტყუარად მრწამს—შევაწყნარებ და შევაბრალებ!..
ახლა დამშვიდდი, მოისვენე, იყავ მღიმარი,
კიდევ გთხოვ, შვილო, ჯავრი, სევდა არ მიიკარო,
ჩვეულებრივად ტკბილს ოცნებას გაუღე კარი,
მას შიგ იპოვე სანუგეშო სულისა წყარო...
ხვალ, როდესაც რომ შავის ეტლით, ხელებ-შეკრული
წამოგიყვანონ ჯალათებმა სარჩობელასკენ,—
მაშინაც, შვილო, პირმცინარი, დამშვიდებული
ხალხს შეეგებე... მაგრამ თვალი გეჭიროს ჩემსკენ:

თინსკი-დოლგორუკოვზედ, რომელიც უკვე იყო ერთხელ ქალაქის მოურავად.

*** კვირას, 16 აპრილს, პირველს საქალებო ოლგას გიმნაზიაში დანიშნულია წლიური აქტი. სხვათა შორის, ამ აქტზედ შარშანდელს კურს დასრულებულს ქალებს დაურიგდებათ ჯილდო.

*** სტავროპოლის გუბერნიის ზოგიერთა აზნაურთ განუზრახავთ შეადგინონ წერილი, რომლითაც ითხოვენ ერობის დადგინებას ამ გუბერნიაში. ეს წერილი განხილულ იქმნება ამ წელს ნოემბერში სტავროპოლის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების მიერ.

*** რადგანაც რკინის გზაზედ ხშირად ხდება უბედურება, ამიტომ ნაბრძანებია არ მისცენ ნება ვაგონში ჩაჯდომისა იმათ, რომელნიც მთვრალნი იქმნებიან და ვიდრე სიმთვრალე გამონელდებოდეთ ისინი გადაეცნენ პოლიციას.

*** ქ. თელავი: ძალიან უყურადღებოდ არის დატოვებული ჩვენი ქალაქი. გაავდრდება თუ არა, ბაზრები ერთი ნაპირიდგან მეორე ნაპირამდის ისე მოყიყვიდება შეზელილ ახტალის მზგავს ლაფ-ტალახით, რომ არამც თუ კაცს, ეტლებსაც-კი უჭირდებათ ხოლმე მათში სიარული. ამას ვილა იჩივლებს, რომ ჩვენი ქალაქი ფარნების უქონლობის გამო ღამღამობით ჯოჯოხეთსაც არ წარმოადგენდეს, რა კარგი იქმნება, რომ ასეთს ყველასთვის უსიამოვნო ნაკლს ყურადღება მიექცეს და ათასში ერთხელ მაინც დაასუფთაონ ხოლმე ბაზრები და ფარნებით გაანათონ ის ადგილები (ქუჩები) მაინც, სადაც უფრო საჭიროა.

*** იქიდგანვე: ურიგო არ იქნება, ყურადღება მიექცეს აქაურს წიგნთ-საცავსაც. მართლა კარგა ხანია, რაც აქ წიგნთ-საცავი არსებობს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ძლიერ ცოტა ჰყავს მას მკითხველი. ჩემის აზრითკი, თუ არა ვცდები, ამისი მიზეზი მომეტებულ ფულის გარდახდევინება უნდა იყოს. მკითხველს თვიურად წასაკითხს ახდევინებენ ექვს შაურს, თითო შესვლა-წაკითხვაზედ-კი თითო შაურს. ძლიერ კარგს ინებებს ბ. წიგნთ-საცავის გამგე, რომ ცოტაოდენს ფასს მაინც დაუკლებდეს, რითაც მკითხველების რიცხვს გაიმრავლებს და წიგნთ-საცავსაც უფრო სარგებლობას მისცემს.

*** ს. რუისი: აქ ამ დღეებში შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა. აზ. სარიდან მამაცაშვილი, რომელიც კარგა ნაღვინევი იყო, მიუხდა ძმათა მექვაბიძეებს და ლანძღვა-გინება დაუწყო. მექვაბიძეები თოხითა და ბარით გამოუვარდნენ. ერთმა მათგანმა თოხი თავში დაჰკრა მამაცაშვილს და იქვე სული გააბნევინა.

*** გორი: სააღდგომოდ გაიმართა ხელის მოწერა ა. კალანდაძის წიგნის მაღაზიაში აქაურ ღარიბ ოჯახთა დასახმარებლად ანტონ მაკალატია და არსენ კალანდაძის მეცადინეობით. ამ კეთილს საქმეს ყველა დიდის სიამოვნებით ეხმარებოდა შეძლებისა-და გვარად, ვინც-კი გაიგო. ბევრნი ისეთნიც აღმოჩნდნენ ჩვენში, რომ თითონ მოდიოდნენ უთხოვნელად ხელის მოსაწერად. სულ შეგროვდა 37 მ. და 30 კ., რომელიც მესამე დღესვე განაწილებულ იქმნა დასარიგებლად. ცოტა რომ ადრე შესდგომოდნენ ამ სასიამოვნო საქმეს, რასაკვირველია, უფრო მეტს მოაგროვებდნენ. იმედია, კვლავაც იზრუნებენ ხოლმე ღარიბებისათვის.

## კორესპონდენცია.

**ს. არაშენდა,** (დუშეთის მაზრა). მე არ შემიძლიან ავწერო ის უბედურება, რა უბედურებაშიაც ს. არაშენდელები ვართ ჩვენის მებატონესაგან. მე აქ ყველა გლეხებზედ ჩადენილს საქმეს არა ვწერ, რადგანაც გაგრძელდება კიდეც და მკითხველსაც მომეტებულად აალევებს. მოვიყვან მხოლოდ ორს საქმეს და დანარჩენს შემდეგში შევიძლებთ მოვახსენოთ მკითხველს, თუ საჭიროება მოითხოვს. ს. არაშენდის პირველს მებატონეს აქ ერთი ხოდაბუნი ჰქონდა, რომელიც ამით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ახლანდელ მებატონეს ის ხოდაბუნი მესამედათაც ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ კიდევ გაიკეთეს ორი ხოდაბუნი სხვა, რომელიც თითო ოცის დღიურისაგან შესდგება: იმ მიწებიდგან, რომელშიაც გლეხებმა თავიანთი სისხლი ჩაღვარეს, ორი-სამი წელიწადი სასუქს ეზიდნენ, გაასუქეს და იქიდგან ერთი ლუკმა პურის ჭამა დაიწყეს. ამ დროს გამოუცხადეს ამ საბრალოთ, რომ ეგ ადგილი ხოდაბუნათ გვინდაო. ამითი სამუდამოდ ლუკმა გაგვიწყდა, რადგან აღარც გასასუქებული მიწა დაგვრჩა და აღარც ნაკელი. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მუდამ გლეხებმავე უნდა მოუხნათ, უნდა დავუფარცხოთ, მოვუმკოთ და ისე ინებონ. ამ უბედურებასაც ავიტანთ, მაგრამ ახალი უბედურება კიდევ ის არის, რომ ხალხს ბალებიდგანაც ითხოვს, არ მინდიხარ, მე თვითონ გავაკეთებო, თითქოს დროებით მებალე იმერლები იყვნენ. კიდევ ახალი მიზეზი. სასიმინდე ალაგების ხვნა აგვიკრძალა, როგორ თუ ჩემს ბრძანებას არ ასრულებთო. ხოლო ეს ბრძანების შეუსრულებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მეზობელს გლეხს სახლი უნდა დავუქციოთ და იმისი ხე-ტყე მივართოთ. რისთვის?!—იმისთვის, რომ იმ გლეხს რაღაცა გაუჯავრებია *).

იქაურივე გლეხი.

—

**დ. ახალ-სენაკი.** ოც-და-ერთს მარტს აქ გაიმართა წარმოდგენა სათავად-აზნაურო სკოლის ზედამხედველის ს. ყიფიანის თაოსნობით, სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. მაგრამ ამ წარმოდგენას აქაური ინტელიგენცია უფრო დაესწრო, ვიდრე სოფლის ხალხი. რა იყო მიზეზი? ისევ ის ბილეთების სიძვირე 2 და 3 მანეთი, რომლის შეძლება მუშა ხალხს არა აქვს. ნუ-თუ ადვილი შესაძლებელია მეოჯახე კაცისთვის 2 მანეთი. ორ მანეთს ის ორს თავეს იმყოფინებს ოჯახში სახარჯოდ. ერთს ღამეს რომ ორი მანეთი წარმოდგენისათვის დახარჯოს, არა აქვს შეძლება. აი სად წყდება ძაფი გლეხ-კაცის გონების განვითარებისა. იმ წარმოდგენის მმართველებს რომ ბილეთები ათი შაურიდგან მანეთამდე გაეხადათ, სოფლის კაციც არ დაიშურებდა ამ ცოტა ფულს და წარმოდგენას უყურებდა. წარმოდგენა ამისია, რომ უსწავლელმა ხალხმა გაიგოს და გონება და ჭკუა აამუშაოს. დეე, იმ მდიდარ ინტელიგენციისათვის მაინც გამართონ წარმოდგენები, ოღონდ უქმად ნუ გაჩერდებიან. არ ვაცი სწორედ, არ გამეგება რა უშლით ხელს! მოქმედნი პირებიც საკმარისად იშოვება აქ. გაბუნია-ცაგარლისა ეხლა აქ არის და ამის დახმარებით შეიძლება ხშირად წარმოადგინონ. წარმოადგინონ თვეში ორჯელ მაინც და ბილეთის ფასიც ისეთი უნდა იყოს, რომ გლეხ-კაცობას შეეძლოს წარმოდგენის ყურება, გლეხ-კაცობისთვის უნდა გამართონ წარმოდგენები, თორემ ინტელიგენციას რად ესაჭიროება.

წარსულ წარმოდგენებზედ კაცი რომ ძალად წაიყვანა მისმა ამხანაგმა, ყურების შემდეგ ისე გახარებული დარჩა, რომ მეორეთ და მესამეთ რომ გაემართათ, სიამოვნებით წავიდოდა.

სცენის მოყვარე

---

*) თუ ეს ყოველივე მართალია, არ იქნება ურიგო, რომ ადგილობრივმა თავად-აზნაურთა მარშალმა ჩააგონოს ამ მებატონეს, რომ ასეთი საქციელი სრულიად არ შეჰშვენის არა თუ მაღალის წოდების კაცს, არამედ არავის.

რედ.

## მცირე შენიშვნა.

„ივერიის“ № 77-ში სწერია: „საზარელს მდგომარეობაში ვართ ჩაცვინულნი აქაურის მეპურეებისაგან. პურის გამოცხობა და გასყიდვა ხელობად გაუხდია ვისაც არა მგონია, რის გამოც ვყიდულობთ და ვჭამთ პურსკი არა, რაღაც პურის მზგავსს. იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს, ვისიც ჯერ არს“-ო. გვიკვირს და გასაკვირველიც არის, ღმერთმანი, რატომ დასჭირდა ავტორს ამგვარის სიცრუის მოჭორება?!. მართალია მე მეპურე არა ვარ, მაგრამ ყოველ დღე ათ-თხუთმეტს გირვანქა პურს ვყიდულობ და ზნეობრივად მოვალე ვარ, დავიცვა მართალი მხარე და საზოგადოებას ვაუწყო, რომ ოზურგეთისთანა პური და ოზურგეთსავით იაფად არცერთს საქართველოს დაბა ქალაქებში არა ცხვება და არც ისყიდება. ოზურგეთში კარგი პური ღირს გირვანქა 2 კ., თეთრი პური-კი 3 კ., ხოლო 1-ლის ხარისხის რუსეთის თეთრი პური 4 კაპ. ეს ფასები მგონია იაფად უნდა ჩაითვალოს პურისთვის. ოზურგეთის პურის იაფობაზედ და კარგს ცხობაზედ მე მინდოდა შენიშვნა დამეწერა, მაგრამ თუ არ დავწერე უდროობის გამო და დღეს-კი ვიღაც უცნობი ავტორისაგან ასეთს ცილის წამებას ვკითხულობთ გაზეთში ოზურგეთის მეპურეებზედ. უკეთესი იყო ავტორს სხვა ათასს ნაკლულევანებაზედ მიექცია თავისი ყურადღება და არა ასეთის სიცრუისათვის.

კ. თავართქილაძე.

---

თუმცა მე მნახო შავის ჩადრით, თვალცრემლიანი—
იცოდე, რომა შენ არ გელის არარა შველა
და რომ სიცოცხლე, იმედთ ქღერა ამო-ხმიანი
სამუდამჟამოდ, უსამართლოდ გესპობა ყველა;
და თუმცა მნახო თეთრის ჩადრით, თან მომცინარე—
იცოდე, რომა მოგიპოვე თავისუფლება
და რომ სიცოცხლე, სიყვარული, მზეცა და მთვარე
კვლავ ძველებურად შეგეტკბობა, შეგეულლება?
დეე, ჯალათმა სისხლიანი წაგავლოს ხელი,
ვითომ სასჯელად—მიგიყვანოს სარჩობელამდის
და გარდაგაცვას საშინელი თავზედ საბელი,—
მაინც არ შეკრთე: სცან, რომ ხუმრობს... ახლა ნახვამდის!..

. . . . . . . . . . . . . . . .

სძინავს მზე ჭაბუკს, ღიმი უმკობს სახეს მშვენიერს,
არა-რა უკრთობს არც ძილს, არც გულს, არც მოსვენებას;
სიზმარში ჰხედავს თეთრის ჩადრით დედას ბედნიერს
და პირველად ჰგრძნობს სიცოცხლის ძალს და გემოვნებას...

III

დღე სასჯელისა... თვალს იტაცებს ლამაზი დილა;
მზე დიდებული სიცოცხლესა ჰპირდება ყველას...
დიდს მოედანზედ ხალხი ხალებრ გარდაფენილა,
გარშემო უვლის და ყვედრებით სჭვრეტს სარჩობელას.
მასზედ ჯალათი საზიზღარი და უგრძნობელი,
ადამიანის ყოველსა მადლს განშორებული,
წითლად მოსილი იყურება, ვითარცა გველი
და მსხვერპლს მოელის დამშვიდებით შეჩვენებული.
გაუბედავად, გაურკვევლად ბუტბუტებს ყველა,
არ ვინ იცინის, არვის ატკბობს მზე მშვენიერი,
ყველას სურს მისცეს ამოდ დასჯილს შვება და შველა,
თან გულში ჰკიცხავს ამ განაჩენს და სწყევლის ერი!..

IV

აი, შავს ეტლზედ, პირ-უკუღმა, სქელის ფარაჯით,
ხელ-ფეხ შეკრული, მოჰყავთ იგი ჯალათებს ნელა,
მაგრამ მისს სახეს, სიმხნით სავსეს და არა ტანჯვით
გაოცებულნი შესცქერიან თავ-დაყრით ყველა.
მას არ ეტყობა არც ცრემლები და არც ნაღველი,
არც სამდურავი, არც ყვედრება, არც სინანული...
ჩვეულებრივად ხალხს ესალმის... მზისა ნათელი
იმას თავს უმკობს, ვით გვირგვინი და სიხარული...
მანდილოსნები შეჰხარიან უკანასკნელად,
უხვად უძღვნიან თაიგულებს, უცხო ყვავილებს
და მთელი ხალხი სასოებით, სულის ჩამდგმელად
იმისს სიყვარულს ერთმანერთშუ მყის ინაწილებს!..
თვით მზე-ჭაბუკი არე-მარეს ათვალიერებს,
ვიღაცას ეძებს გამალებით და აკვირდება
და რომ ვერ ნახავს—ქვევით დასწევს ხან-და-ხან თვალებს,
თითქოს სატირლად, მაგრამ კვლავ მყის გამოფხიზლდება.—
და, ჰა, უეცრად მშობელს დედას მან მოჰკრა თვალი,
ნახა მან დედა თეთრის ჩადრით, პირ-მომცინარე,
გულზედ მოეშვა, სცნო ნუგეში, სიცოცხლის ძალი,
თვალთ-წინ გაუქრა მოჩვენება—ბნელი სამარე!..
სრულ სიხარულით ხალხს შეჰხედა, მოეალერსა,
მისს სიყვარულში, იმის გულში ჩასახა ბინა,
იმისმა სახემ ციურ მადლით სიმხნე დაჰკვესა,
შარავანდედი დიდებისა გარდაეფინა!..

V

მისცეს ნიშანი... ჯალათმა მას ჩაავლო ხელი,
უპატიურად აიყვანა სარჩობელაზედ,
საფეხურები გაუსწორა და ყელ-საბელი,
მაგრამ ჩრდილიც-კი არ მიადგა ნორჩ გმირს სახეზედ:
ის უყურებდა მშობელს დედას და მშობელიც შვილს,
ერთი-ერთმანეთს ჰპირდებოდენ კვალად სიცოცხლეს
და როდესაც, რომ თოკს აცვავდენ —მაშინაც ღიმილს
საიმედოსა გაეტაცნა, ვით ქორწილის დღეს!..

VI

ის ჩამოარჩეს!.. იმას გაჰყვა კურთხევა დედის,
თან საუკუნო ხალხის ლოცვა და სიყვარული,
მისი სიკვდილი—უსამართლო სასჯელი ბედის—
ხალხს მიაჩნია წმიდა—წმიდათ და სწამს, ვით სჯული!..

—

რად ჰქნა ეს დედამ? ნუ-თუ მართლა შვილის წამებით,
ვით რომ მოშურნემ—თვით მშობელმაც დაიტკბო გული?
არა და არა! აქ ნაკურთხი ღვთით და სამებით
მას წინ უძღოდა დედის ვალი და სიყვარული:
რომ მისი შვილი დამტკბარიყო თვით სამარემდის,
ჭმუნვის და ტანჯვის არ ჰსობოდა გულში მახვილი,
არ მიეღწია მტარვალთა წინ დამცირებამდის,
არად ჩაეგდო განაჩენი მათი გახრწნილი;
რომ ხალხს ენახა თავის თვალით გმირობა მოძღვრის,
მამულისათვის უშიშარი და მხნე სიკვდილი,
სამაგალითო, საანდერძო ზვარაკი მოძმის
და თავ-განწირვა ცით, კურთხევით გარდმოვლენილი,—
მისთვის მოხუცი თვალთმაქცობდა შვილთან მშობელი,
აი, ამისთვის შემოკრიბა სულისა ძალა,
თავისი კვნესა, ცრემლი, ტანჯვა გაუზომელი
ამ დიდებულს ვალს მტლად დაუდო და ანაცვალა!...

გრ. აბაშიძე.

# აჭარა

(შემდეგი*)

45, ღოდაძე. 32 კომლი. ნასაყდრალზედ ჯამე სდგას. უმეტესი ნაწილი ამ სოფლის მცხოვრებლებისა ძველად თათრობის გამო ქართლსა და იმერეთში გადმოცვენულან. აქ მცირე ნაწილი დარჩენილა ქრისტიან ქართველებისა, ამათში უმეტესი ღოღაძეს გვარისანი ყოფილან; პირველად ესენი გათათრებულან აქ, ამათთვის აღობა მიუციათ. 1825 წლებში ესენი დაცემულან. უწყიან, რომ ესენი ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ამ ხანებშიო. უკანასკნელს დროს ამათგან ბევრი გადასახლდა ოსმალეთში.

46, შოთიძე. 25 კომლი. რამდენიმე კომლი გადასახლდა ოსმალეთში, რიცხვი არა სჩანს. ამ სოფლის მებატონენი ძველად შოთიძეები ყოფილან, მაჭახლიდამ გადმოსულნი. ესენი პირველად ბზუ-ბზოში მოსულან და დასახლებულან, აქ გათათრებულან. ამათვის ოსმალო ის ადგილები უჩუქებიათ თათრობის გამო, სადაც დღეს სოფ. შოთიძეა. შოთიძეებს ამ ადგილებისთვის თავიანთი გვარი უწოდებიათ, ამათ სხვა გვარის ხალხნიც მიუყვანიათ აქ და დაუსახლებიათ. შემდეგ ეს ადგილი სოფლად გამხდარა და მცხოვრებთაც უმატნიათ. უკანასკნელს ხანებში შოთიძეები სასტიკად გაფანატიკებულან, ამათ სასტიკად სძულდათ სიტყვა ქართველი. უკანასკნელ ომის შემდეგაც არ დაივიწყეს ამათ ეს სიძულვარე და მრავალი ამათთგანი ოსმალეთში გადასახლდნენ. ამ სოფლის ქვემოდ შესართავამდის, სადაც ჭოროხი აჭარა-წყალს უერთდება, რაც სოფლები სძევს, ყველა ესენი მაჭახლის ნაწილს ეკუთვნის და ამიტომ ამათ ჩვენ აქ არ მოვიყვანთ. აქედამ ჩვენ მივუბრუნდებით ისევ აჭარის დასაწყისს, დანდალოს ახლო, მხოლოდ აღმოსავლის მარცხენა მხრის ნაწილს, აჭარ-წყლის გაღმით და ჩავალთ შესართავამდის.

47, ახო. 35 კომლი. თათრობის გამო ეს სოფელი ძველად მთლად გამწყდარა. ვინც დარჩნენ, ისინიც ოსმალში გარეკეს. აქ არ დასტოვეს თურმე და ამათ ალაგას დაასახლეს საქართველოდგან გამოქცეულნი და აქ ახლად გათათრებულნი ქართველნი. აქ არის ნაეკკლესიარი. ეს დაუქცევიათ 1850 წ. ამ ეკკლესიის ერთი ქვა ჯამეს კარებ ქვეშ არის დატანებული, ზედ ჯვარი სჩანს და ქართულის ნაწერების სახეც ატყვია, მაგრამ ეს მთლად გადარეცხილა.

48, გობურნეთი. 30 კომლი. აქ იყო პატარა კარგი ეკკლესია. ახსოვთ, რომ 1830 წლებში, ამ ეკკლესიას ერთი მოხუცი დედაკაცი ჰპატრონობდა და ჰგვიდა ხოლმეო. ერთხელ ეკკლესიის დაგვის დროს ხოჯამ მიასწრო და ძლიერ გაუჯავრდა, დაწყევლა თურმე, უთხრა, თუ კიდევ განახე მე შენ აქა, მაშინ მე ფაშას შევატყობინებ და თავს მოგჭრიანო. მოხუცი თურმე გაჰშორდა და გზაში მწარედ სტიროდა. რად დამიშალე ეკკლესიის გასუფთავება, ჩვენი ძველები შიგ მარხიაო. ეს ეკკლესია მალე მთლად დასცეს და მოწმინდეს.

49, ვარჯანისი. 20 კომლი. ამ სახელის მექონი სოფელი კინტრიშისკენაც არის, ხინოს ქვემოთ, ერთს უდაბურს ტყეში. ამბობენ, რომ ხინოს ვარჯანისი, ანუ ვარჯანული აქედამ მისულებისაგან გაშენდაო 1780 წლებშიო.

50, კვნიერი,. 20 კომლი. 5 კომლი გადასახლდა.

51, წონიარისი. 30 კომლი. რამდენიმე კომლი გადასახლდა. აქ დიდხანს შეუნახავთ ქრისტიანობა.

52, სკანიერი, 15 კომლი. რამდენიმე კომლი გადასახლდა.

53, ქანძაგარა. 10 კომლი. აქ წინად ეკკლესია ყოფილა. აქვთ ჯამე.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 75.

## სხვა-და სხვა ხალხის ცრუ-მორწმუნეობა.

ვისაც ცოტად თუ ბევრად მიუქცევია ყურადღება ჩვენის მდაბიო ხალხისთვის შესახებ სხვა-და-სხვა ბუნების მოვლენისა, უეჭველია იმას კარგად ეცოდინება, თუ რა რიგის ახირებულისა და ამასთანავე სრულიად მიუღებელის აზრისანი არიან მაგ. მიწის ძვრაზედ, მზისა ღ მთვარის დაბნელებაზედ, სეტყვაზედ და სხ.

საჭიროა სოფელში ყოფნა იმ დროს, როდესაც მთვარე ბნელდება, მაშინ მთელი სოფელი ფეხზედ სდგას, დიდი და პატარა შეიარაღებულია. ყოველ მეკომურის ეზოდგან გაისმის შეუწყვეტელი თოფის სროლა, კიჟინი მსროლელთა და ამას ზედ ერთვის თან დედაკაცების მწუხარების გამომხატველი ხმა: „არიქათ! ჩქარა, ჩქარა! სროლას მოუმატეთ, თორემ ჩაყლაპა იმ დაწყევლილ გველეშაპმა მთვარეო!“ მამაკაცებიც თან თავიანთის რწმენით, რომ მთვარეს გადაარჩენენ გველეშაპის ჩაყლაპვისაგან და თანაც დედაკაცთა გახალისებით, უფრო და უფრო უმატებენ თოფის სროლას. აი დაბნელდა მთვარეც; აქა-იქ-ღა გაისმის თოფის ხმა, მაგრამ ყველას მაინც დაღვრემილი შეხედულობა აქვს, რადგანაც თავიანთის ცდით ვერ იქნა და ვერ შეაშინეს გველეშაპი, რომ მთვარე არ ჩაეყლაპნა.

ასევე ხდება მზის დაბნელებაზედ.

მიაქციეთ ახლა ყურადღება მიწისძვრაზედ. შეინძრევა თუ არა მიწა, მაშინ გაისმის ათასნაირი მითქმა-მოთქმა. ზოგი ამბობს, რომ „დედამიწა დიდს გველეშაპს პირში უჭირავს და როცა გველეშაპი გაინძრევა, მიწაც ინძრევა ხოლმეო. ზოგიც იმითი არის დარწმუნებული, რომ დედამიწის ქვეშ დიდი ქვაბი სდგას და რამდენადაც მეტად ადუღებენ, იმდენად ორთქლი მეტი ასდის და ის ორთქლი შეანძრევს ხოლმე მიწასაო. ბევრს კიდევ მარტო ისა სწამს, რომ დედამიწა დიდის ლოქოს ზურგზედა სდევს და როცა ლოქო შეინძრევა, დედამიწაც მაშინ ინძრევაო. მომეტებული ნაწილი სულ სხვა და სხვა აზრისანი და შეხედულებისანი არიან მიწის-ძვრაზედ.

აბა ახლა დავუგდოთ ყური, რა აზრისა და შეხედულებისანი არიან ინდოეთში სხვა-და-სხვა მცხოვრები ველური ხალხი. იმათის აზრით, მიწის ძვრა იქიდგანა ხდება, რომ ღმერთი, რომელსაც მთელი დედამიწა ხელში უპყრია, ანუ ზურგზედა ჰკიდია, ყოველთვის დინჯად არა სდგას. ამ შემთხვევაში ტონგის კუნძულზედ მცხოვრებნი, მიწის ძვრის დროს, ჯოხით ცემას დაუწყებენ ხოლმე მიწას, რა არის ამითი დაამშვიდონ როგორმე თავიანთი ღმერთი მაუი.

ყარაიბელები ფიქრობენ, რომ მიწის ძვრა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხუცებული მიწა გამხიარულდება ხოლმე და მოჰყვება თამაშობასაო.

იროკეზთების აზრით, მიწა ემზგავსება დიდს კუნძულს, რომელიც დიდის ზღვის შუა მომწყვდეული და სძევს უშველებელს კუს ზურგზედ; როცა კუ ჩაიყურყუმელავებს წყალში, მაშინ წყალ-დიდობა ხდება, ხოლო როცა კუ გადმობრუნდება პირაღმა--მიწის ძვრა მოხდებაო.

კამჩადელები უფრო ახირებულის აზრისანი არიან მიწის-ძვრაზედ. იმათის აზრით, მიწის-ძვრა იმისთვისა ხდება, რომ ქვეშქნეთის ღმერთის ძაღლები, რომლებიც მარხილით დასეირნობენ, გაბერტყვის დროს იყრეინებენ რწყილებს და თოვლსაო.

პირველადაო, ამბობს უფრო ველური ხალხის გადმოცემა, დიდი ღრმა წყალი ჰფარავდა მთელს დედამიწას. ჰაერი დაეპყროთ ფრინველთ, ხოლო წყალი თევზებს. ერთხელ შეჰნიშნეს, რომ ზეციდგან რაღაც წყნარად ეშვება წყალზედ—ეს იყო ქალი წარმოუთქმელის მშვენიერებისა. დიდრონი იხვები შეიკრიბნენ მაშინათვე საბჭოდ და ერთხმად გარდასწყვიტეს, აფრინდნენ იმ მშვენიერების მისაგებებლად, რათა გადაარჩინონ განსაცდელს. იხვები აფრინდნენ, ერთმანერთის ფრთებისაგან შეჰკრეს დიდი ტახტი და დასვეს ზედ ქალი. ახლა სად უნდა ჩამოსვან. იხვებს არ იყო შეეტყოთ დაღლილობა, მაგრამ ამ დროს წყლის სიღრმიდგან გამოვიდა დიდი კუ და ურჩია იხვებს ქალი დაესოთ იმისს ზურგზედ. ქალს რამდენიმე ხნის განმავლობაში ეყოლა ორი შვილი: ერთი მათგანი იყო კეთილის სულისა, რომელიც იძლევოდა სიმინდს, ხილს და თამბაქოს, მეორე-კი იყო ბოროტის სულისა, რომელიც ამრავლებდა ქვემძრომს და ათასნაირს მატლებს. როდესაც დაღლილი კუ მოინდომებს ხოლმე შესვენებას და გადაბრუნდება, მაშინა ხდება მიწის ძვრაო.

ყველგან და ყოველს ხალხს თავისი აზრი და მსჯელობა აქვს შედგენილი ბუნების მოვლენაზედ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ესევე აზრი ღრმათ სწამთ და არავითარს რჩევა-დარიგებას არ შეუძლიან ამ აზრის მათში აღმოფხვრა. აი მაგალითიც. წარსულს წელს საშინელმა სეტყვამ აიოხრა მთელი დიღომი: ისეთი ნიაღვარი და ქარი იყო, რომ კაცი კარში გამოსვლას ვერ გაჰბედავდა. ზარალიც, როგორც ვიცით გაზეთიდგან, დიდი იყო, მაგრამ ამის გამო-კი კინაღამ დიაკვანი არ მოჰკლეს; მიუცვივდნენ სახლში კეტებით და თუ იმ დროს მამასახლისი არ შესწრებოდა, თქვენს მტერს, რომ დიაკვანს ცუდი საქმე დაემართებოდა. რა იყოთ, რა ამბავია? ჰკითხა მამასახლისმა.

— რო ოჯახი და სახლ-კარი დაექცეს მაგას (დიაკვანს), ის ამბავია. მაგის დალუპულები ვართ, მაგისი!.. ეგ აქ წამოწოლილა მხარ-თეძოზედ და ვილა ეშმაკი დარეკავდა ზარს, რომ ელიას გაეგონა და აგვცდენოდა სეტყვა.

— ბიჭო და თქვე ბრიყვებო, განა ზარი რომ დაერეკა, მაშინ-კი აღარ მოვიდოდა სეტყვა? შეტევით ჰკითხა მოხელემ.

— არა, შენ-კი არ იცი, რომ როცა ზარის ხმას გაიგებს ელია, იფიქრებს ხოლმე აქ სოფელია და დაისეტყვებაო, გვერდზედ ჩაივლის ხოლმე? და ეხლა-კი რაკი ჩვენი ზარი არ დაირეკა, ელიას მთა-ღრე ეგონა და წამოგვიშინა, მერე ის სტიალოც, ბრმა არის და ვერაფერსა ჰხედავს.

ბევრი ამგვარის მოსაზრების შემდეგ, თუმცა დიაკვანი-კი გადარჩა გატყეპას, მაგრამ ხალხი მაინც დარწმუნებული იყო, რომ დიაკვანს ზარი დაერეკა, დღესაც იმათი სოფელი დაუსეტყავი იქნებოდა.

ნიკო ველისციხელი.

## რუსეთის ცხოვრება.

სუვორინის გაზეთი ამბობს, რომ ამ დღეებში უნდა გადასწყდეს ჩვენის მომავალის პოლიტიკის ბედ-იღბალი შორეულს აღმოსავლეთშიო.

პორტ-არტურის ერთ-ერთი სიმაგრეც რომ დარჩეთ იაპონელებს, მაშინ წყნარ ოკეანეს ნაპირებისკენ საგრძნობელი ჭრილობა გაუჩნდება ჩვენს საპოლიტიკო სხეულს. ისეთი ჭრილობა, რომელიც დიდს ხარჯს მოითხოვს ჩვენგან, ერთით იმიტომ, რომ ჩვენი სამფლობელო სრულიად დაუცველია და მეორეს მხრით, დიდის სახელმწიფოს ღირსებისა და გავლენის დაცვა გვაიძულებს ასე მოვიქცეთ და არც შეიძლება, რომ სუმბუქის გამარჯვებით თავს-ბრუ დასხმულს იაპონიას ნება მივსცეთ ჩვენ დაგვძლიოს და ულტიმატუმები დაგვიდგინოს. არა და არა. ამიტომაც არის, რომ ჩვენ დიდძალი ხარჯი უნდა გავწიოთ და ტყუილ-უბრალოდ ძალ-ღონე შევალიოთ. ამ დაწყებულების დროს ჩვენ უნდა სწორედ ამ ინტერესებზედ მივუთითოთ და აუცილებლად ჩვენი უფლებანი დავიცვათ. ომის დაწყებისათანავე რუსეთი აფრთხილებდა იაპონიას, მისს სამფლობელოს მახლობლად ადგილი არ დაეჭირა, მაგრამ იაპონიას თითქოს არცკი გაუგონია ეს გაფრთხილება, დეე, ეხლა მაინც გაიგონოს! რუსეთი უარჰყოფს მონგოლთა ცივილიზაციას და ის პოტინი, რომელიც მცირე გამარჯვების შემდეგ გამოიჩინა, უნდა ავულაგმოთ. ყველა ჩვენთვის, ევროპის ქრისტიან ხალხისათვის, საცინელია იაპონიის განზრახვა კორეს განათლების შესახებ. ჩვენ არა გვრწამს, რომ ჭკუა და ჰუმანიური გრძნობა იაპონელ განმანათლებლებისა—რაც უნდა კარგადა ჰქონდეთ შესწავლილი ევროპის მეცნიერება—მართლა კორეს განათლებას მოჰხმარდეს და არა იმას, რომ მთელი კორეს მცხოვრებლები იაპონიის ყურმოჭრილ და შინა-ყმად გარდააქციონ (sic). რუსეთს არ შეუძლიან იაპონიის უზენაესი მფარველობა კორეზედ შეიწყნაროს, რომელიც იაპონიამ ფაქტიკურად უკვე დაიმტკიცა ზავის პირობის ძალით.

გეოგრაფიულის მდებარეობით პორტ-არტური კორეს შესავალი კარებია და იგი-კი იაპონელებს თავისს ხელში უჭირავთ და ჰფიქრობენ მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგაც ისე იბატონონ, როგორც ბატონობდნენ ომის დროს. ჩვენ უნდა ავამაღლოთ ხმა და მოვითხოვოთ, რომ კორე ჩვენის უზენაეს მფარველობის ქვეშ იყოს (ოღონდაც კარგი განზრახვაა, ცოტა დაგვიანებული რომ არ იყოს!), მით უმეტეს, რომ ჩვენ უფრო გვეკუთვნის(?) და, ვფიქრობთ, ევროპის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იტყვის, რომ ჩვენ ამისი უფლება არა გვქონდეს(?!). ევროპის ქრისტიანი სახელმწიფოები-კი მიჰხვდებიან იმ საგნის დიდს მნიშვნელობას, რომ წარმართთა განათლება შეგნებულის ქრისტიანისათვის სულყოველთვის თვალსაჩინოდ დაბლა სდგას ქრისტიანულს განათლებაზედ. სიტყვები „ჯვარით დაამარცხებ“ უპირველესი დროშაა მთელის ქვეყნისათვის.

რადგანაც პეჩილის ნაპირები რუსეთის გაფრთხილებით და ნეიტრალიტეტის ძალით იაპონიის მიერ დაუჭერელი უნდა ყოფილიყო; რუსეთს სრული ნება აქვს მოიწვიოს ყველა სახელმწიფო, ვინც-კი ამ ნეიტრალიტეტში მონაწილეობას იღებდნენ, წინააღმდეგ იაპონიისა, რომელმაც გადა უხა რუსეთის სამართლიანი მოთხოვნილება. ხოლო თუ მარტო რუსეთს მოუხდება ჭკუა ასწავლოს წინ-დაუხედველ გამარჯვებულთა, მაშინ ევროპის ინტერესების ერთიანობა ცალიერი ფიქცია-ღა იქნება და მარტო რუსეთს მიეცემა უფლება, გარდასწყვიტოს იაპონია-ჩინეთის ბედ-იღბალი და თავისი მონაწილეობა განმარტოს. როგორი პასუხიც უნდა გვაგონ იაპონელებმა ჩვენს მოთხოვნილებაზედ, ჩვენ მაინც ისე გულ-გრილად ვეღარ ვუყურებთ, არამედ უნდა მონაწილეობა მივიღოთ და უზრუნველ-ყოფილ ვყოთ ჩვენი ინტერესები. ამ მდგომარეობის გამორკვევამდის ჩვენ უნდა მივიღოთ და დავიჭიროთ იმგვარი ადგილები ბრძოლის ველისა, რომლებიც მომავალში ყოველგვარს შემთხვევას თავიდგან აგვაცილებს.

## კ. პ. პობედონოსცევის აზრი რუსეთის ორის იმპერატორის შესახებ.

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, 6 აპრილს ანიჩკის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით „რუსეთის საისტორიო საზოგადოებას“ კრება ჰქონდა, რომელზედაც კ. პ. პობედონოსცევმა სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, აი როგორ დაახასიათა განსვენებული ხელმწიფე ალექსანდრე მესამე და იმპერატორი ალექსანდრე პირველი.

„ყმაწვილობითვე, სთქვა ორატორმა ალექსანდრე მესამის შესახებ, ძლიერ უყვარდა ისტორიულ რომანების კითხვაო. ზაგოსკინისა და ლაჟეჩნიკოვის თხზულებებმა მას, ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს, ჩაუნერგეს გულში სიყვარული ღ გრძნობა ეროვნულის სიამაყისა. ამ წიგნების კითხვა უყვარდა მას როგორც სიყრმის დროს ისე თავის ცხოვრების შემდეგს წლებშიაც. ს. ვ. სოლოვიოვთან მუსაიფობამ განუმარტეს მას შინაგანი აზრი რუსეთის ისტორიისა და დაანახვეს მნიშვნელობა სახელმწიფო ბრძოლის წინააღმდეგ ძალებთან. მას ხშირად შეხვდებოდა ხოლმე რუსეთის ჭკვიან კაცებთან ბაასი და უყვარდა კიდეც მათი ყურის-გდება, როდესაც ისინი რუსის თვალ-ხედვის ისრით აღჭურვილნი რუსეთის წარსულზედ და ახალის დროის გარემოებებზედ ლაპარაკობდნენ. ამ გვარად აღიზარდა მასში ის სიყვარული რუსეთის ინტერესებისა, რომელიც შემდეგში, მეფობის დროს, გაიფურჩქვნა სწორედ რომ სახელმწიფო სიბრ-

ძნის ძალად. რუსეთის წარსულის ნაშთნი, რომელსაც იგი ინახულებდა ხოლმე რუსეთში მოგზაურობის დროს, შეადგენდნენ მისს საყურადღებო საგანს და კარგადაც შეითვისა ის სიმშვენიერე საეკკლესიო ხუროთ-მოძღვრებისა, რომლითაც გამოირჩევიან ჩვენი ძველი საეკკლესიო ნაშთები. მას შემდეგ ყოველთვის მოითხოვდა ხოლმე ახლად ასაშენებელ ეკკლესიების გეგმებს და საკვირველის სიმართლით შენიშნავდა ხოლმე იმ ნაკლს, რომელიც საერთო გარმონიას არღვევდა...

ალექსანდრე პირველსაც უყვარდა რუსეთი და თვისი ერი, მაგრამ მისმა აღზრდამ ნება არ მისცა გაეცნო თავისის ქვეყნის ისტორია და ხალხი. იგი დაიბადა იმ დროს, როდესაც დაბალს ხალხს ერთს სამარცხვინო სახელს უწოდებდნენ, სახელს „სულმდაბლისას“ და არც ერთი მაღალის წოდების კაცი ვერ ხედავდა მათში ღირსებას. დაიბადა იმ დროს, როდესაც ევროპიდგან გადმოტანილმა კულტურამ, ჩვენის ხალხისთვის სრულიად უცხომ, რუსულს ნიადაგზედ მარტო გარეგნობით მოიკიდა ფეხი. მაშინ წარჩინებულნი თვით ეკკლესიას სხვა თვალით უყურებდნენ, უყურებდნენ ისე, როგორც ხალხისთვის უსაჭიროესს დაწესებულებას, მაგრამ განათლებულის დასავლეთის რომაულ კულტთან შედარებით-კი დამცირებულს. ჭკუა და გონება ახალგაზდა ხელმწიფისა მიმართული იყო ამაღლებულის აზრისადმი—ემეფნა ხალხის საკეთილდღეოდ, წეს-რიგზედ დაეყენებინა მრავალი დაწესებულებანი, აღმოეფხვრა ბოროტ-მოქმედებანი, დაერღვია ზღუდენი მონებისა და ცრუ-მორწმუნეობისა. მაგრამ ის იდეალი, რომლისკენაც იგი მიისწრაფვიდა—რუსეთში-კი არა, რუსეთის გარედ იმყოფებოდა. ლაგარპასაგან აღზრდილმა, რომელმაც XVIII საუკუნის ფილოსოფიის განყენებული იდეები შთაუნერგა, თვისი იდეალი სწორედ ამ იდეებისაგან აღმოკვეთა, ხოლო რუსეთის ისტორია, რუსეთის თანამედროვე საჭიროება ამისთვის გაუგებარი იყო. ახალგაზდა თანამშრომელთა გუნდში, იგი მათთან ერთად ოცნებას ეძლეოდა და ამგვარად ვითომ უნდოდა კიდეც სამართლიანობა ჩამოევდო მმართველობაში. იმას არ ესმოდა—რა დიდი მნიშვნელობა აქვს მართლ-მადიდებელს ეკკლესიას ხალხისთვის და ოცნებობდა-კი, რომ ყოველგვარ სარწმუნოების აღმსარებელნი გაეთანასწორებინა უფლებით, ოცნებობდა პოლონეთის განთავისუფლებას და კი არ იცოდა ისტორია, რომელიც მას ეტყოდა, რომ პოლონეთის სამეფოს აღდგენა მთელის რუსეთის ერის დაჩაგვრა და დამონება იქნებაო.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ევროპის ჟურნალ-გაზეთობა განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ჩინეთ-იაპონიის შორის მშვიდობიანობის ჩამოგდების პირობებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით გამოტეხილს არას ამბობს. ინგლისის გაზეთების მსჯელობას დიდი სიფრთხილე ეტყობა, თუმცა შეიძლება მათ მიერ წარმოთქმულ რამდენიმე ფრაზისაგან გამოირკვეს, რა აზრისანი არიან ამ მშვიდობიანობის ხელ-შეკრულების შესახებ ინგლისში. „Times“-სს გაჰყავს ის აზრი, რომ იაპონია საშიში მეტოქეა ევროპის სახელმწიფოთათვის აღმოსავლეთში: ისე მოულოდნელად გამოიჩინა ამ სახელმწიფომ თავისი ძლიერება, ისე მშვენივრად შეითვისა იაპონიამ ევროპის ცოდნა, რომ ზოგიერთთა აზრით, აღარავითარი საზღვარი არ არსებობს იმ სურვილის აღსასრულებლად, რომელიც იაპონიის აზრს შეადგენსო. მაგრამ გაზეთი ამ ჟამად უადგილოდ და აჩქარებულადა სცნობს მსჯელობას ამ საგნის შესახებ და შენიშნავს, რომ მიუხედავად იაპონიის ენერგიისა და ძლიერებისა არსებობს ისეთი საზღვარი, რომელსაც იაპონიაც ვერ გადაჰლახავსო.—უფრო გამორკვეულად ლაპარაკობს „Standard“-ი, რომელიც ამბობს, რომ არც რუსეთი, არც საფრანგეთი და არც დიდი-ბრიტანია უარს ვერ განაცხადებენ იმ ინტერესზედ, რომელიც შეეხება ამ სამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ თანასწორობას აღმოსავლეთს აზიაში.

„ევროპის სახელმწიფონი მხოლოდ იმიტომ არ ჩაერივნენ ჩინეთ-იაპონიის საქმეში, რომ ამით ჩინეთი დაეფარათ მის უგუნურებისა და სისუსტის შედეგისაგან; მაგრამ იგინი ამას ნებას მაინც არ მისცემენ იაპონიას, რომ დამლეული იმპერია მის პატივმოყვარეობის მსხვერპლად გახდესო.“

„Daily News“-კი საქმის სულ სხვა მხარეს აქცევს ყურადღებას. ეს გაზეთი ამბობს: რომ

„მიზეზი იაპონიის ძლიერებისა და იმის გამარჯვებისა ამ ომში იმას უნდა მიეწეროს, რომ იაპონიამ საესებით შეითვისა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ცოდნა და მოქმედება წეს-რიგი. იაპონიამ სამხედრო წეს-რიგი გერმანიისაგან ისწავლა, საპოლიტიკო დაწესებულებანი ინგლისისაგან გადმოიღო. სოფლიო ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა მაგალითი ასეთის ჩქარის შეთვისებისა, ასეთის გენიოსურის მიბაძვისა. სამხედრო პირნი, ზღვაოსანნი, სახელმწიფო მოღვაწენი და მეცნიერნი, რომელნიც იაპონიის იმპერიის ბედ-იღბალს განაგებენ, კარგად ჰხედავდნენ, რომ აღმოსავლეთი მიძინებული იყო და დასავლეთი-კი გამოფხიზლებული, პროგრესის გამახორციელებელი და შეგნებულად განიზრახეს პროგრესის მეხანიზმი (მანქანა) გადაერგათ თავისს მამულში. ჩინეთი იმიტომ დამარცხდა, რომ წინ არ იწევდა; იაპონიამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ პროგრესიულს გზას ადგაო. სინათლეს მოკლებულთ აღმოსავლეთის ჩვეულებათ და მისს გაყინულს ტრადიციებს ასეთი მძიმე ჭრილობა არასოდეს არ უგრძნიათო“.

საფრანგეთის გაზეთი „Temps“-ი მოიწვევს ევროპის სახელმწიფოთ, რომ ერთსულოვნობა დამყარდეს მათს მოქმედებაში, ხოლო „Journal des Dèbats“ ურჩევს, რომ ევროპის სახელმწიფონი ჩაერივნენ ჩინეთ-იაპონიის საქმეში. რუსეთი საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია,—ამბობს გაზეთი,—არ მოისურვებენ და ნებას არ მისცემენ, რომ ჩინეთისაკენ მიმავალ საზღვო გზებზედ მხოლოდ იაპონია ბატონობდესო.

გერმანიის ჟურნალ-გაზეთობაც ამავე აზრისაა. აქ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად შესანიშნავი ამბავი, რომელიც აწინდელს გერმანიას სუცხოვოდ ახასიათებს. „National Zeitung“-ი ურჩევს იაპონიას, ზომიერება დაიცვას თვისი მოთხოვნილებანი ჩინეთისაგან და დარბაისლურად აღუნიშნავს მაგალითად „ბისმარკის ზომიერებას“ საფრანგეთთან შერიგების დროს. სწორედ ჭკუის სასწავლებელი და წასაბაძი მაგალითია!

—

დიდი ხანია, რაც გაზეთები გვაუწყებდნენ, რომ ღვინოს ბაჟი უნდა დაედოს და ამის შესახებ პროექტიც იყო შეტანილი. „ბირჟ. უწყ.“ სიტყვით ამ ჟამად ეს საქმე შემდეგს მდგომარეობაშია:

„მაისის პირველს რიცხვებში მოხდება სხდომა უმაღლესად დაარსებულ კომისიისა ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთა და აგრეთვე ღვინის მწარმოებელთა და ღვინით მოვაჭრეთა მონაწილეობით შესახებ იმისა, დაედოს თუ არა ბაჟი ღვინოს და სხვა სასმელებს, რომლებიც მათრობელსა და მომშხამველ ნივთიერებათ შეიცავენ. ამ ჟამად გარდასახადთა გამწერ დეპარტამენტისა და უფრო-კი ამ დეპარტამენტის კერძო მინდობილებათა მოხელის ბ-ნ მინცლოვის მიერ ამ საგნის შესახებ შეკრებილ მასალების ბეჭდვას უკვე ასრულებენ. მინცლოვს წარსულს წელს რუსეთის ღვინის წარმოებისა და ღვინით ვაჭრობის უმთავრესი ადგილები დაუვლია ამ აზრით, ყოფილა აგრეთვე საფრანგეთსა, ინგლისსა და ავსტრო-უნგრეთში, სადაც ქიმიკოს პროფესორ კუპერევთან ერთად იყო სამინისტროს მიერ გაგზავნილიო.“

—

გაზ. „Berliner Tageblatt“-ს მოჰყავს ბაასი ერთის იაპონელის ცნობილის პირისა ბერლინში გაგზავნილ ელჩთან შესახებ სიმონოსეკში დადგენილის ხელშეკრულობისა:

როგორ მოიქცევა იაპონია, თუ ევროპიელ სახელმწიფოთ, უმეტესად ინგლისმა და რუსეთმა, განაცხადეს უთანხმოება სიმონოსეკში დადგენილ ხელ-შეკრულობაზედ. მობაასეს უთქვამს, იაპონიას იმედი აქვს, რომ გერმანია დაეხმარება. ინგლისი მაძღარი ქვეყანაა და არა მგონია ჰქონდეს სურვილი, შეიძინოს ახალი მიწები აზიაში. ხოლო რაც შეეხება რუსეთს, რომელსაც უნდა გაავრცელოს თავისი სამფლობელო აღმოსავლეთს აზიაში და შეიძინოს კორეში ნავთ-სადგური, ამაზედ უნდა ვსთქვა, რომ მაგ მხრივ იაპონიას სიფრთხილე ჰმართებსო.

ინგლისის ჟურნალ-გაზეთები სიმონოსეკში დადგენილს ხელშეკრულობას ეგებებიან როგორც „სასიამოვნო ამბავს“, მაგალითად გაზეთი „Times“ ამბობს:

როგორც-კი მორიგების პირობანი გამოცხადებულნი იქმნებიან, ევროპიელი დიპლომატია ისე მოიქცევა, ვითომ შეუდგა მის განხილვასაო, მაგრამ იაპონიამ ყური არ უნდა ათხოვოს, რადგანაც საქმე თავის თავად ჩაჩუმდებაო.

გაზ. „Daily News“-ი ილტაცებაშია სიმონოსეკში მომხდარ ხელშეკრულობის გამო. გაზეთს იმედი აქვს, რომ იაპონია გავლენას იქონიებს ჩინეთზედ, ასე რომ, ცის-ქვეშეთი საშუალო სახელმწიფო, მალე გადაიქცევა სამოთხედ.

---

### წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნ მარიამ ივანეს ასულს კაკაბაძისას და ყველა იმათ, ვინც ჩემ სასარგებლოდ ქ. ბათუმში გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს. ამ წარმოდგენიდან შემოსული ასი მანეთი უკვე მივიღე ქ-ნ მარიამ კაკაბაძისაგან.

სტუდენტი პროკოპი ჩხენკელი.

ქ. კიევი.

—

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში, რომ იმ წარმოდგენიდგან, რომელიც გამართული იყო ქართველ არტისტებისაგან ჩვენის ნიჭიერისა და საუბედუროდავადმყოფის არტისტის ვლ. მესხიევის სასარგებლოდ, სულ შემოვიდა 671 მან. 55 კაპ. ხარჯი იყო 159 მან, დარჩა ნაღდი 512 მან.

ვალერ. გუნია.

14 აპრილს 1895 წ.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 აპრილი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ცარსკი სელოში წაბრძანდნენ.

„სავაჭრო და სამრეწველო გაზეთი“ ამბობს, რომ მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებას ნება მიეცა 1895 წლის ძამლევს მოახდინოს რუსეთის მეურნეთა კრება.

„ნოვოე ვრემია“ სწერს, რომ იაპონიასთან მოლაპარაკება სამშვიდობო გზაზედ დგება. ამ დღეებში გამოირკვევა ყოველივეო.

„ნოვოსტი“ აცხადებს, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა პროექტი დაბალის სახელოსნო სკოლებისა, რომლის ძალით კურსი 4 წლის უნდა იქნეს. უკანასკნელი წელი-კი სკოლაში მთელად პრაქტიკულს მუშაობას მოუნდებაო.

გაზეთები ამბობენ, რომ მოსკოვში წავიდა კომისია, რათა დაათვალიეროს გვირგვინის კურთხევისათვის საჭირო სამეფო სამკაულები და ნივთები. გვირგვინის კურთხევა დანიშნულია მერმისისათვის.

**ლონდონი**, 13 აპრილი. „Times“ ამბობს: „რუსეთისა და საფრანგეთის პროტესტმა სიმონესეკის პირობის შესახებო საზოგადო ყურადღება ინგლისისა მიიქციაო. რუსეთის საქციელი დიდ გასაგებია ამ შემთხვევაში, მაგრამ გერმანიისა და საფრანგეთის ყოფა-ქცევის მიხვედრა არ არის ადვილი საქმე. მართალია, სავაჭრო ინტერესები ორთავე ამ სახელმწიფოთ საგულისხმოა იაპონიისა და ჩინეთის ხელშეკრულობის გამო, მაგრამ საეჭვო არის, რომ ეს ინტერესები საშიშ მდგომარეობაში იყოს. ჭკუას იზამდა იაპონია, რომ უთავაზებდეს, რადგან შედეგი შეცდომისა მისის მხრით შესაძლოა საგრძნობლად დაურჩეს“.

**ბელგრადი**, 13 აპრილი. სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ კონსტიტუცია შეყენებული იყო მხოლოდ იმისთვის, რომ დასთა ბრძოლა მოისპობილიყოვო. შემდეგ გამოთქმულია გულმტკივნეულობა იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების გამო. გამოცხადებულია აგრეთვე ამავე სიტყვაში, რომ სერბიას კეთილი განწყობილება აქვს ყველა სახელმწიფოებთანაო. სვეტომირი ნიკოლაევიჩი პარლამენტის თავმჯდომარედ არის არჩეული.

„მალე ნოვინეს“ რედაქტორს სამის თვის დაპატიმრება გადაუწყვიტეს ციხეში წერილისათვის, რომლითაც შეურაცხყოფილია დედა ჩერნოგორიის თავადისა.

---



## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა ᲓᲐ ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.